

შეთანხმება

შპს „პსპ დაზღვევა“-სა და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის 2013 წლის 27 თებერვალს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ №28-2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

28 თებერვალი 2013 წ.



ერთის მხრივ, შპს „პსპ დაზღვევა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა დოლიძის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილის სახით, მხარეთა ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მხარეთა ორმხრივი ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, ორმხრივად ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის 2013 წლის 27 თებერვალს გაფორმებულ №28-2 ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დაკორექტირდეს აღნიშნული ხელშეკრულების „1.8“ პუნქტსა და „1.10.2“ ქვეპუნქტში მითითებული დამზღვევი ორგანიზაციის თანამშრომლ(ებ)ის ოჯახის წევრ(ებ)ის - შვილ(ებ)ის დაზღვევის ასაკობრივი ლიმიტი და აღნიშნული პუნქტი და ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.8. დაზღვეული - წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №2-ში მითითებული ფიზიკური პირები - დამზღვევი ორგანიზაციის თანამშრომლები (ასაკის შეუზღუდავად) და/ან მათი ოჯახის წევრები: მუდლოე (65 წლის ასაკამდე) და/ან შვილები (0 -დან 21 წლის ასაკამდე), რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს.“

1.10.2. ასაკობრივი ლიმიტი დამზღვევი ორგანიზაციის თანამშრომლის შვილისთვის – 0- დან 21 წლამდე.”

- ხელშეკრულების ყველა სხვა დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, (გარდა „1.8“ პუნქტი და „1.10.2“ ქვეპუნქტისა) და დანართ(ებ)ი დარჩეს უცვლელი.
- წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის 2013 წლის 28 თებერვალს 24:00 საათზე და წარმოადგენს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის 2013 წლის 27 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ №28-2 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემათ ხელშეკრულების მხარეებს.

<p>“შემსყიდველი“ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“</p> <p>მისამართი: ქ. თბილისი; კოსტავას ქ. №68 საიდენტიფიკაციო კოდი: 204858163</p> <p>გენერალური დირექტორი</p> <p>გორგი ბარათაშვილი</p> 	<p>“მიმწოდებელი“ შპს „პსპ დაზღვევა“</p> <p>მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №148 საიდენტიფიკაციო კოდი: 204545572</p> <p>დირექტორი</p> <p>ზაზა დოლიძე</p> 
--	--